საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-793

27/09/2018

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ბეტონის საწარმოს ავტოფარეხში ნარჩენ ზეთებზე მომუშავე გამათბობლის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს ,,ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ბეტონის საწარმოს ავტოფარეხში ნარჩენ ზეთებზე მომუშავე გამათბობლის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია ქ. თბილისში, ფეიქრების N14-ში ფლობს ბეტონის საწარმოს (წლიური წარმადობაა 150 000 $მ^3$ ბეტონი). საწარმოში მდებარეობს ავტოფარეხი, რომელიც ზამთარში საჭიროებს გათბობას. ავტოფარეხის გასათბობად დაგეგმილია ნარჩენ ზეთებზე მომუშავე გამათბობლის THERMOBILE AT-500 დამონტაჟება, რომელიც მოიხმარს მაქსიმუმ 6,2 ლ/სთ საწვავს.

საპროექტო ტერიტორია უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 550 მეტრით. ხოლო მდინარე მტკვარი დაშორებულია 100 მეტრით.

THERMOBILE AT-500 დანადგარში საწვავად გამოყენებული იქნება საწარმოს საკუთრებაში არსებული ავტომობილების ნარჩენი ზეთები, რომელთა გამოცვლაც ხდება საწარმოში არსებულ ავტოფარეხში.

აღნიშნული დანადგარის მწარმოებელი ქვეყანაა ნიდერლანდები. მისი ძირითადი მონაცემებია: წვის ტიპი - ამაორთქლებლიანი სანთურებით; საწვავის მოხმარება მინიმალური - 3,8 ლ/სთ, მაქსიმალური - 6,2 ლ/სთ; მაქსიმალური გათბობის ფართი 1189 $მ^2$; სიმძლავრე 58 კილოვატი.

საწარმო მუშაობს დღეში 10 საათის განმავლობაში, ავტოფარეხის გათბობის აუცილებლობა შეიძლება იყოს ნოემბრიდან მარტის ჩათვლით. ჯამში წელიწადში შესაძლებელია გამოყენებული იყოს 9300 ლიტრი (10 სთ X 6.2 ლიტრი X 150 დღე) ნარჩენი ზეთი. საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ჭარბი ნარჩენი ზეთების მართვა (რომელიც არ იქნება გამოყენებული საწვავად), მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ როგორც სკრინინგის განცხადებაშია აღნიშნული საქმიანობის პროცესში ნარჩენი ზეთების მიღება არ მოხდება სხვა ორგანიზაციებიდან და ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას სხვა ობიექტებიდან.

ნარჩენი ზეთების წვისას გამათბობლიდან გამოიყოფა მყარი ნაწილაკები, ფენოლი, ქრომი, აზოტის ოქსიდები, ნაშირბადის ოქსიდი, გოგირდის ოქსიდები და სხვა მავნე ნივთიერებები. ვინაიდან გამათბობლის მახასიათებლების მიხედვით მოხმარებული საწვავის საათური რაოდენობა არ არის დიდი (6,2 ლ/სთ), აქედან გამომდინარე მისი წვის შედეგად გაფრქვეულმა მავნე ნივთიერებებმა არ შეიძლება გამოიწვიოს ატმოსფერული ჰაერის მნიშვნელოვანი დაბინძურება.
გამათბობლის განთავსების შემდეგ საწარმოდან გაფრქვეული შეწონილი ნაწილაკების უმნიშვნელო რაოდენობით გაზრდის გათვალისწინებით, ნარჩენი ზეთების გამათბობლით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება იქნება მინიმალური.

THERMOBILE AT-500 დანადგარის დახურულ და მობეტონებულ შენობაში განთავსებისა და ფუნქციონირებისას ნიადაგსა და წყლის რესურსებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ვინაიდან, აღნიშნული გამათბობელი დახურულ შენობაში იქნება განთავსებული და საწარმო მოსახლეობიდან დაშორებულია დიდი მანძილით, გამათბობლის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ხმაური და მისი გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის 10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თბილისში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ბეტონის საწარმოს ავტოფარეხში ნარჩენ ზეთებზე მომუშავე გამათბობლის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა'' ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს “ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გლდანის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი